თემა: საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია

უმუშევრობის და სიღარიბის ნაწილი

შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს: შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენებასა და განვითარებას; სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას; დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას; სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას; სოციალური პარტნიორობის სისტემის განვითარებას; შრომაზე თანაბარი უფლებების რეალიზაციას; უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა კვლავ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად რჩება. ეს მაშინ, როცა ქვეყანა თანამედროვე გლობალიზაციისა და საგარე–ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარების პირობებში აქტიურადაა ჩართული ევროინტეგრაციის პროცესში. უმუშევრობა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ფენომენი, საქართველოში კი „უშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს“[1]. უფრო მეტიც ქვეყანაში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ, არაეფექტიანმა დასაქმებამ და უმუშევრობის მაღალმა დონემ სერიოზული გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, სიღარიბის სიღრმესა და მასშტაბებზე, სერიოზულად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა და მასთან ერთად სხვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა წარმოშვა. „სიღარიბის მასშტაბები და სიმწვავე კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება“. UNDP-ის 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით,

[1]საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი.

მოსახლეობის 70% სოციალურად ან ეკონომიკურად დაუცველია[1]. აღნიშნულს ადასტურებს ბოლო 10–15 წლის განმავლობაში ოფიციალური საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული მაჩვენებლების ანალიზიც. 2005 წელს ქვეყნის მოსახლეობის 54.9% სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარზე[2] დაბლა ცხოვრობდა[3]. შემდეგ პერიოდში 2006 წლიდან 2015 წლის ჩათვლით ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლები მედიანური მოხმარების 60%-ისა და 40%–ის მიმართ შესაბამისად საშუალოდ 22,1%-სა და 9,1%–ს შეადგენდა (ფარდობითი სიღარიბე). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი, ანუ საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის (376 776 კაცი) წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან (3 713 700 კაცი) მიმართებაში 10.1%–დან (2015 წელი) 12.4%-მდე (2016 წელი) გაიზარდა.[4] მართლაც აშკარაა, რომ „ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა”[5].

როგორც აღვნიშნეთ, სიღარიბის გამომწვევი უმთავრესი მიზეზია უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები, ქრონიკული უმუშევრობა, რომელიც ასევე არსებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ოფიციალური მონაცემებით 2000-2015 წლებში მისი დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 12.0%-მდე მერყეობდა (2015 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-16.9%-ს მან 2009 წელს მიაღწია **(იხ. ცხრილი-1).** საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში 32.0-36.0%-ის ფარგლებშია. მაგ. პროფესორი ი. არჩვაძე აღნიშნავს: „სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის რეალური შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობა (პოტენციალი, რესურსი, დონე) შეადგენს მხოლოდ 60.3%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე 39.7%-ს“... „უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 0.3 მლნ. კი არა, თითქმის 0.8 მლნ. კაცი (ჩვენი შეფასებით, 766.0 ათასი კაცი) იქნება. ეს კი საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 39.1%-ია.“[6] ანუ მისი შეფასებით უმუშევრობის დონე 39.0%-40.0%-ის ფარგლებშია.

---

[1]ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში, ეროვნული ანგარიში, 2014წელი. მომზადებული საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით. UNDP, ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში, 2012, http://www.ge.undp.org/;

[2]აღნიშნული მაჩვენებელი იანგარიშებოდა 2005 წლის ჩათვლით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის საშუალო დონესთან მიმართებაში. www.geostat.ge

[3]M. Tsartsidze. Poverty and the Economic Development Factors in Georgia. «European Journal of Humanities and Social Sciences», Scientific journal, №1, vienna 2016. p. 64.

[4]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

[5]საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი.

[6]არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. მიგრაცია N6, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ., 2013წ. გვ. 111, 115.

ცხრილი-1

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საქართველოში 2000-2015 წლებში[1]

მაჩვენებლები	**2000წ.**	**2009წ.**	**2013წ.**	**2014წ.**	**2015წ.**
1.სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	2049,2	1991,8	2003,9	1991,1	2021,5
1.1.დასაქმებული	1837,2	1656,1	1712,1	1745,2	1779,9
1.1.1.დაქირავებული	683,9	596,0	658,2	692,3	753,4
1.1.2.თვითდასაქმებული	1041,2	1059,0	1043,8	1046,1	1018,1
1.1.3.გაურკვეველი	112,1	1,2	10,0	6,8	8,4
1.2.უმუშევარი	212,0	335,6	291,8	246,0	241,6
2.მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1092,3	1139,3	1022,3	1004,4	958,3
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	**10,3**	**16,9**	**14,6**	**12,4**	**12,0**
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	**65.2**	**63,6**	**66,2**	**66,5**	**67,8**
დასაქმების დონე (პროცენტებში)	**58,5**	**52,9**	**56,6**	**58,3**	**59,7**

უმუშევრობის სფეროში არსებული პრობლემები ადექვატურ ასახვას პოულობს ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონეზე, ხასიათსა და მასშტაბებზე. შესაბამისად საინტერესოა დასაქმებულთა სტატუსის გარკვევაც. 2015 წელს სულ ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის 57,2% თვითდასაქმებული იყო, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 76.2%-ია თვითდასაქმებული. თუ გავაანალიზებთ თვითდასაქმებულთა შემადგენლობას და სტრუქტურას, შესამჩნევია რომ მათი 41.6% ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე პირები, ხოლო 0.2%-ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებია[2]. ცხადია მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად არაა დასაქმებული და მათთვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ „საქართველოს მთავარ გამოწვევას უმუშევრობა და თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლები წარმოადგენს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში“[3]. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის, რომ უმუშევრებში მაღალია უმაღლესი განათლების მქონე პირებისა და ახალგაზრდების (სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში უმუშევართა თითქმის 1/3-ს უმაღლესი განათლება აქვს), ასევე ხანგძლივი უმუშევრების წილი. “შერბილებული კრიტერიუმით („იმედგაცრუებული“

1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

[2]M. Tsartsidze. Poverty and the Economic Development Factors in Georgia. «European Journal of Humanities and Social Sciences», Scientific journal, №1, vienna 2016. p. 65.

[3]ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში, ეროვნული ანგარიში, 2014წელი. მომზადებული საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით.

პირების ჩათვლით) ხანგრძლივი დროით უმუშევართა წილი უმუშევართა საერთო რაოდენობის 46.0%-ს შეადგენდა, იგივე მაჩვენებელი მკაცრი კრიტერიუმით („იმედ–გაცრუებულების“ გამოკლებით) 2013 წლებში შესაბამისად 42.1%-ს შეადგენდა“[1]. უმუშევრობის დონის ხელოვნური შემცირება თვითდასაქმებულთა ზრდის ხარჯზე პირდაპირ აისახება დასაქმებაზე და მნიშვნელოვნად ამცირებს მის ეფექტიანობას, რაც განსაკუთრებით საგრძნობია სწორედ სოფლის მეურნეობაში. ასე მაგალითად, 1990 წლის ჩათვლით საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (საერთო დასაქმებულთა–25,2%). დარგი აწარმოებდა მშპ-ის 29,8%-ს, რაც შეადგენდა 4454,0 მლნ. მანეთს. 2015 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1779,9 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1100.7 ათასი კაცი ანუ 61,84%, რომელმაც აწარმოა მშპ-ის მხოლოდ 9,2%[2,3]. მაშასადამე, თუ 2015 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 25,2%-დან 61,84%-მდე, მშპ-ის მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა 29,8%-დან 9,2%-მდე შემცირდა.

[1]საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი.

[2]**Tsartsidze Murman.** Labour Market Regulation and Employment Policies in Georgia. European Applied Scinces N2/2, 2013. stuttgard, Germany. p.184**.**

[3]საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015წ. პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. **www.geostat.ge.**